

ყოველკვირეული განახლება
მთავარი ეკონომისტისგან



თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული
განახლება
მთავარი ეკონომისტისგან
17.01.2022

www.tbccapital.ge


დეკემბრის ვაჭრობის მონაცემები შედარებით ზომიერი იყო, თუმცა მხოლოდ წინა თვის გამორჩეულად ძლიერი დინამიკის ფონზე, რადგან წლიური მაჩვენებლები კვლავ მაღალია და 2019 წელთან შედარებითაც ტენდენცია მზარდია.

სრული 2021 წლისთვის, წ/წ 26.9%-იანი და წ/წ 25.1%-იანი ზრდით, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებმა აშშ დოლარში 2019 წლის დონეს, შესაბამისად, 11.7%-ითა და 5.9%-ით გადააჭარბა.

დეკემბრის ვაჭრობის დეტალური და ასევე ტურიზმისა და გზავნილების მონაცემები მიმდინარე კვირაში გამოქვეყნდება. [წინასწარი შეფასებით](#), ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენა გრძელდება, გზავნილები დინამიკა კი ძლიერ ტენდენციას ინარჩუნებს. მე-4 კვარტალში, წინა კვარტლის მსგავსად, საქონლით ვაჭრობის, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.


ლარის მხრივ აღსანიშნავია, რომ [გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე](#) დეკემბერში M2 ფულადი აგრეგატის ზრდა კვლავ ზომიერია. უფრო მეტიც, იმავე პერიოდის რეალური მშპ-ით შესწორების შემდეგ ლარის ფართო ფულის მატების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

ექსპორტი (აშშ დოლარში %)




წყარო: საქსტატი

იმპორტი (აშშ დოლარში, %)




წყარო: საქსტატი

ლარის ფულადი აგრეგატი (M2) და ლარის რეალური ეფექტური კურსი (REER) (წ/წ, %)



დეკ-21-ის მაჩვენებლები თიბისი კაპიტალის შეფასების მიხედვით
წყარო: სებ, საქსტატი, თიბისი კაპიტალი

საქონლით ვაჭრობა, ტურიზმიდან შემოსავლები და ფულადი გზავნილები (მშპ-ის %, სოფ. უსწორების გარეშე)



წყარო: საქსტატი, სებ, თიბისი კაპიტალი

მიმდინარე კვირის ანონსი:

- იან 17 – ტურიზმიდან შემოსავლები, 2021 წლის დეკემბერი;
- იან 17 – ფულადი გზავნილები, 2021 წლის დეკემბერი;
- იან 20 – საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები, 2021 წლის დეკემბერი;
- იან 20 – მწარმოებელთა ფასების ინდექსი, 2021 წლის დეკემბერი.



თიბისი კაპიტალი

